



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/45

ქ. თბილისი

9 ნოემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერისათვის ყოველთვიური სახელფასო დანამატის სახით 3000 ლარის ოდენობის
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2021 წლის 9 ნოემბრის №0001201508 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 9 ნოემბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერს ყოველთვიურ სახელფასო დანამატად განესაზღვროს 3000 ლარი;
2. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის პირველი ნოემბრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ჯაფარიძე